ASSOCIATION EMPLOYERS GEORGIAN

# NEWSLETTER

www.employer.ge



## საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში არათანაბარი ანაზღაურებისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ იმსჯელეს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO/DANIDA) მხარდაჭერით: **„საერთაშორისომრგვალი მაგი და:„არათანაბარი ანაზღაურება და სექსუალურ ი შევიწროების პრევენციის მექანიზმები სამუშ აო ადგილზე“ - “გენდერული უთანასწორობისგამოწვევები საქ ართველოში - დამსაქმებელთა ასპექტები”**, - გაიმართა.

დაგეგმილი საერთაშორისო მრგვალი მაგიდა მიზანად ისახავდა სოციალურ პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მსჯელობას ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ, როგორიცაა არათანაბარი ანაზღაურება და სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე. კერძოდ, ღონისძიებაზე გაკეთდა მოხსენებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მე-100 კონვენციისა და შრომის საერთაშორისო სტანდარტების ირგვლივ.

„საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ვიხილავთ აღნიშნულ საკითხს და შევიმუშავებთ კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, იმის შესახებ თუ რა უნდა იყოს დამსაქმებელთა ასოციაციის როლი ამ პროცესში. ჩვენ დიდი



ხანია ამ საკითზე ვმუშაობთ და გამოვლინდა, რომ განვითარებულ კომპანიებში, რომლებიც საერთაშორისო გამოწვევებს პასუხობენ არ აღინიშნება ხელფასებს შორის განსხვავება, თუმცა სხვაობა არის გარკვეულ კომპანიებში, რაც მოგვარებადია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და მაღალი



სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებით", - საქართველოს დამსაქმებელთა ასოიცაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

ასევე, მოწვეულმა სტუმრებმა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE), მონტენეგროს დამსაქმებელთა



ფედერაცია, გაეროს ქალთა ფონდის ინიციატივა Equal Pay International Coalition (EPIC) და მდგრადი განვითარების მიზანი 8.5., იმსჯელეს და წარმოადგინეს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, ინიციატივები და ა.შ. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პროფკავშირები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი დასხვა დაინტერესებული მხარეები.

მხარეებს შორის მოსაზრებების გაზიარების შედეგად საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, როგორც ბიზნეს გაერთიანება და სოციალური პარტნიორი გეგმავს აქტიურ ღონისძიებებს ზემოაღნიშნულ თემასთან მიმართებაში და ასევე, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას, რომელიც გაზიარდება ეროვნულ დონეზე და დაინერგება წევრ კომპანიათა შორის.



ღონისძიება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

# დამსაქმებელთა ასოციაცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტს შეიმუშავებს



ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) ერთად ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარი ანაზღაურების პოლიტიკის დოკუმენტს შეიმუშავებს, რომელიც გაზიარდება ეროვნულ დონეზე და დაინერგება წევრ კომპანიებს შორის.

პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობა დაიწყო დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) და



დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOE) წარმომადგენლებმა დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგნლებისთვის სამუშაო შეხვედრა გამართეს, რომლის ფარგლებშიც იმსჯელეს ასოციაციის მიერ თანაბარი ანაზღაურების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნისა და შემდგომში მისი იმპლემენტაციის გზებისა და პერსპექტივების შესახებ.

„საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავებთ პოლიტიკის დოკუმენტს, იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს დამსაქმებელთა ასოციაციის როლი ამ პროცესში და რა სახით უნდა წარვუდგინოთ იგი როგორც მთავრობას, ისე ჩვენს წევრ კომპანიებს. ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა ამ საკითხზე და გამოვლინდა, რომ განვითარებულ



კომპანიებში, რომლებიც საერთაშორისო გამოწვევებს პასუხობენ არ აღინიშნება ხელფასებს შორის განსხვავება, თუმცა სხვაობა არის გარკვეულ კომპანიებში, რაც მოგვარებადია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებით", - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წევრ კომპანიებს უახლოეს შესთავაზებს მომავალში კონკრეტულ სერვისებს, რომელიც ბიზეს სექტორში გენდერის ჭრილში თანაბარი ანაზღაურების კულტურის დანერგვას შეუწყობს ხელს.

# გიორგი ქობულია დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებს შეხვდა




ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

„ყოველთვის საჭიროდ და სასარგებლოდ მიმაჩნია ასეთი ტიპის შეხვედრები ბიზნესთან, რადგან ძალიან მჭირდება, რომ უშუალოდ მათგან მოვისმინო იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც მათ აწუხებთ,“ - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებთან შეხვედრის შემდეგ.

„შეხვედრის ფარგლებში დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებმა მინისტრთან ისაუბრეს როგორ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების, ისე ისეთი კონკრეტული თემების შესახებ, როგორიცაა სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, ექსპორტის ხელშეწყობა და მასთან არსებული პრობლემები, პროფესიული განათლება და გადამზადება და სხვა“ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე. შეხვედრას ასოციაციის 80-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მინისტრთან ერთად, ბიზნესმენთა შეკითხვებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტის მოადგილეები ეკატერინე მიქაბაძე და გენადი არველაძე პასუხობდნენ. შეხვედრას ასევე დაესწრო ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე.









ASSOCIATION
EMPLOYERS
GEORGIAN

# დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი აკრედიტებული კურსის ფარგლებში ახალი ჯგუფი გაიხსნა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების გადასამზადებელი მეხუთე ჯგუფი გაიხსნა. პროგრამის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები გადამზადდებიან შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ამაღლებენ კომპეტენციას სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთლობის პირობების ეფექტური მართვისთვის. პროგრამის, რომელიც 130 სასწავლო საათს მოიცავს, დასრულების შედეგად მსმენელს ექნება სპეციფიკური ცოდნა შრომის უსაფრთხოების



სფეროში როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ. პროგრამის მონაწილე ასევე შეძლებს შეაფასოს დასაქმებულია და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეები და რისკები. ასევე, მას შეეძლება უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების მენეჯერების აკრედიტებული პროგრამა, მოიცავს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას და მას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული ტრენერები და ექსპერტები



უძღვებიან.

დამსაქმებელთა ასოციაცია სისტემატურად სთავაზობს შრომის უსაფრთხოების კანონის შესაბამისად კადრების გადამზადებას, რათა ისინი



მომზადებული შეხვდნენ შრომის ინსპექტირების სავალდებულო პროცედურებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სრულად აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ყველა შესაბამისი რესურსით.

# შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარეს




საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 2018 წლის დეკემბრიდან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელ აკრედიტებულ პროგრამას ახორციელებს. 130 საათიანი სწავლებას ამ ეტაპზე 80-მდე კომპანიის წარმომადგენელმა დაასრულა და სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა.

გამოცდა მოიცავდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-25/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ ყველა საკითხს.

ტესტირების ეტაპის გავლის შემდეგ მონაწილეებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები გადაეცემათ.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში ამ ეტაპზე სწავლებას 200-მდე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი გადის.

აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით ამ ეტაპზე მომეტებული საფრთხის მქონე სამუშაოთა ნუსხაში შემავალი კომპანიებისთვის სავალდებულოა სამუშაო ადგილზე დასაქმებული ჰყავდეთ სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის. 2019 წლის 1 სექტემბრიდან კი აღნიშნული კანონი ყველა ბიზნეს სექტორზე გავრცელდება.

# სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის პრაქტიკული მეცადინეობა შრმის უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში კურსის მონაწილეებისთვის სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის პრაქტიკული სწავლება განხორციელდა. სწავლება მოიცავდა სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების ძირითად მოთხოვნებსა და პრევენციულ ღონისძიებებს ისეთ გარემოში, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე.





სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის სასწავლო

მოდული დაფუძნებულია შრომის უსაფრთხოების კანონს და სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის ტექნიკურ რეგლამენტს. შესაბამისად, კურსის მონაწილეებმა მიიღეს თეორიული ცოდნა და გაიუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები არსებული მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალურობიდან გამომდინარე, აღნიშნული მოდულის სწავლების ფარგლებში დამატებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებულ მასალებსაც იყენებს.

# შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული კურსის სასერტიფიკაციო გამოცდა




საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მოსამზადებელი აკრედიტებული კურსი დღეს 40 კომპანიის წარმომადგენელმა დაასრულა და სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა.

საგამოცდო საკითხები, რომელიც კურსის მონაწილეებმა ჩააბარეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-25/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხებს მოიცავდა. კერძოდ:

- შესავალიშრომის უსაფრთხოების მართვის საკითხებში;
- საფრთხეებისიდენტიფიცირება, რისკების შეფასება და მართვა, საკონტროლო ღონისძიებები საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით;
- სამუშაოადგილზე უბედური შემთხვევისა და ინციდენტის მოკვლევა - აღრიცხვა, რეგისტრაცია, ანგარიშგება;
- პროფესიულიდაავადებები - პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების კლასიფიკაცია, აღრიცხვა და კონტროლი;



- ელექტროდა სახანძრო უსაფრთხოება;
- პირველადისამედიცინო დახმარება;
- ქიმიურინივთიერებების კლასიფიკაცია და უსაფრთხოების წესები;



- ინდივიდუალურიდა კოლექტიური დაცვის საშუალებები;
- შრომისჰიგიენა: ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური ფაქტორები;
- სიმაღლეზემუშაობა;
- ეროვნულისაკანონმდებლო რეგულაციები და შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები შრომის უსაფრთხოების სფეროში;
- დახურულ სივრცეში უსაფრთხოდ მუშაობა;
- ამწე მექანიზმებთან უსაფრთხოდ მუშაობა;
- ავტოკარის ანუ ჩანგლიანი სატვირთველას ექსპლუატაციის უსაფრთხოება.

ტესტირების ეტაპის გავლის შემდეგ მონაწილეებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები გადაეცემათ.

აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით ამ ეტაპზე მომეტებული საფრთხის მქონე სამუშაოთა ნუსხაში შემავალი კომპანიებისთვის სავალდებულოა სამუშაო ადგილზე დასაქმებული ჰყავდეთ სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის. 2019 წლის 1 სექტემბრიდან კი აღნიშნული კანონი ყველა ბიზნეს სექტორზე გავრცელდება.

# პირველადი სამედიცინო დახმარება – შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი აკრედიტებული პროგრამა



საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში მონაწილეების სრულ პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას ახორციელებს.

130 საათიანი აკრედიტებული პროგრამის, რომელიც შეიმუშავა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ერთ-ერთი მოდულია პირველადი სამედიცინო დახმარება.

აღნიშნული მოდულის სწავლების მიზანს



წარმოადგენს არასამედიცინო პერსონალისათვის ექიმამდელი პირველი დახმარების სწრაფად და სწორად გაწევის სწავლება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, პირველადი დახმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა. მსმენელები გაეცნენ პირველადი გადაუდებელი დახმარების



რაობასა და მიზნებს. შეისწავლეს პირველი დახმარების გაწევა ტრავმის, სისხლდენის, ინტოქსიკაციის, გულისწასვლის, მოხრჩობის დროს. გულ-ფილტვის რეანიმაციას და სხვ. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში ამ ეტაპზე 200-მდე



შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი გადის გადამზადების კურსს, რომლის წარმატებით დასრულების შედეგად მათ გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული შრომის





**საკონტაქტო ინფორმაცია:**

მის.: 0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #106

ტელ.: +995 32 2 14 72 72

მობ.: +995 579 555 551

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ვებ-გვერდი: www.employer.ge